

შავი ზღვის ვეშაპისნაირების შეხვედრის სიხშირე (frequency of occurrence) საქართველოს ტერიტორიალურ წყლებში და მისი ცვლილება სეზონების და ტერიტორიების მიხედვით

თამარ გიოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის და კონსერვაციული ბიოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	3
მასალა და მეთოდები	7
საკვლევი ტერიტორია	7
მეთოდები	9
მიღებული შედეგები	12
ზამთარში მიღებული შედეგები	12
გაზაფხულზე მიღებული შედეგები	16
ზაფხულში მიღებული შედეგები	19
შემოდგომაზე მიღებული შედეგები	23
2015 წლისზამთრის სეზონზე მიღებული შედეგები	24
მიღებული შედეგების განხილვა	26
რეკომენდაციები ვეშაპისნაირთა თვალთავლის განვითარებისთვის კოლხეთის ეროვნული პარკის მიმდებარე შავი ზღვის აკვატორიაში	37
გამოყენებული ლიტერატურა	49
დანართი 1	54
დანართი 2	55
დანართი 3	57
დანართი 4	58

აბსტრაქტი

შეხვედრის სიხშირე (შეხვედრადობა) ცხოველთა სიმჭიდროვესთან დაკავშირებული ინდექსია, რომელიც აჩვენებს ინდივიდების და ჯგუფების ტემპორარულ (დროის განსაზღვრულპერიოდებში) და სივრცულ განაწილებას. გარკვეულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სიმჭიდროვის აგრეგაციების წარმოქმნის შესწავლა სახეობის ცხოველმყოფელობისთვის ხელსაყრელი ტერიტორიების გამოყოფის საშუალებას იძლევა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის ვეშაპისნაირებისთვის, რომლებიც შეტანილნი არიან საერთაშორისო წითელ ნუსხაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობები დაცულნი არიან საკანონმდებლო ინსტრუმენტების მთელი ნაკრებით, განსაკუთრებით როგორც ეკოსისტემის უმაღლესი მტაცებლები (apex predator), თანამედროვე ინფორმაცია მათზე მწირია.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარებული კვლევის შედეგად გამოთვლილი იქნა სამივე სახეობის ვეშაპისნაირის (*Phocoena phocoena*, *Delphinus delphis*, *Tursiops truncatus*) შეხვედრის სიხშირე, დადგენილი იქნა ჯგუფების სიდიდე და მისი ცვლილება სეზონების მიხედვით და ტერიტორიებზე, რომლებიც ერთმანეთისგან განსხავდება რამოდენიმე მახასიათებლით (სუბსტრატი, ჩამდინარე მდინარეების რაოდენობა, ანთროპოგენური პრესი და სხვ.) შედეგად გამოიყო არა მარტო ცხოველმყოფელობისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები არამედ პერიოდები, როდესაც აღნიშნულ ტერიტორიებზე შეწუხება მინიმუმადე უნდა იქნას დაყვანილი. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიალური წყლები შავი ზღვის ვეშაპისნაირების კონსერვაციისთვის. კვლევის შედეგების

საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოში დელფინების
თვალთვალის განვითარებისთვის.